სახალხო გაზეთი

№ 529 კვირა, 19 თებერვალი 1912 წ. № 529

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. **ცალკე № ყველგან 5 კ.**

„ „ თვეში — 75 კ. **დამატებიანი 7 კ.**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამით ვაცხადებთ, რომ

„სახალხო გაზეთის"

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის წიგნის მაღაზიისა** და ამიტომ ვინც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის" კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაგებთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

ძმ. ზუბალაშვილის სახელობის სახ. სახლი.

ორშაბათს, 20 თებერვალს 1912 წ. სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

ქზის დაბნელება საქართველოში

კომედია 3 მოქ. ანტონოვისა.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი ანკარა, ანტუანეტა, ბეჟანოვა, მ. გოგოლაშვილი, გარეკახელი, ყიფშიძე, ქართველიშვილი; ბბ. ანაშვილი, გოცირიძე, ინაშვილი, გელიკურაშვილი, მეტრეველი, მეტეხელი, იანკოშვილი, პეპანოვი, სალაყაია, სვანელი, ნარი, რომანიშვილი, ზურაბიშვილი, ძნელაძე, ფრონისპირელი, შანშიევი, ჩოხელი, კულაშელი, ჭამკვეტაძე, ჭიაურელი, წუწუნავა, ხონელი, ჯაბაური, ყარსიმაშვილი, ყაზბეგი და სხვა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი 50 კ.—5 კაპეიკამდე.

ადმინისტრატორი **ან. ჭიაბერაშვილი.** (1.1006.1) რეჟისორი **ალ. წუწუნავა.**

სახაზინო თეატრი

პარასკევს 2 და შაბათს 3 მარტს 1912 წ.

პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი

პ. ს. კოგანი

წაიკითხავს ორს ლექციას: პარასკევს, 2 მარტს **პირველი ლექცია;**

—ქალთა საკითხი—

საზღვარ-გარეთისა და ჩვენს მწერლობაში. **1.** ქალთა გამოსვლა საფრანგეთში მე-18 საუკ. დასასრულს. ქალთა ემანსიპაციის მომხრენი და მოწინააღმდეგენი კონდარსე, ოლიმპია დე-გუჟ. 2. სამრეწველო ცვლილებათა და სამეცნიერო ცოდნათა განვითარების გავლენა ქალთა მოძრაობაზე. ჟორჟ ზანდი, მალზაკი და მისი „ოცდაათის წლის დედა-კაცი" 3. მოდერნიზმი და ქალი. იბსენი. მეტერლინკი და ფშიბიშევსკი. 4. სოციალიზმი და დედა-კაცი. **5.** დედაკაცის მდგომარეობა დღეს დასავლეთსა და რუსეთში. 6. რუსეთის მწერლობა და დედა-კაცი. ტურგენევი და ტოლსტოი. მწერალ ქალთა საკითხი; ნეკრასოვის დედაკაცები. 7. დედა-კაცი თანამედროვე რუს. მწერლობაში. 8. ქორწინების საკითხი და ბავშვთა აღზრდა. 9. მომავლის პერსპექტივა.

შაბათს 3 მარტს **მეორე და უკანასკნელი ლექცია: ჰამლეტი**

და მისი დადგმა სამხატვრო ძველსა და ახალ თეატრებში საზოგადოდ. „ახალი" თეატრი. რა მიზანი დაისახა წინანდელ თეატრთან შედარებით. დრამა უმოქმედოდ და მოქმედება დრამაში. შინაგანი დრამა, სტილიზაცია. ჩეხოვის მიერ მოხდენილი სათეატრო რეფორმა. მოდერნიზმი და თეატრი. ფშიბიშევსკისა და მეტერლინკის აზრი თეატრზე. სამხატვრო თეატრმა საიდ მიატოვა ზეშთაგონება და რად მიჰმართა კლასიკურ რეპერტუარს, და დასდგა: „ვაი ჭკუისაგან" „რევიზორი" „ჰამლეტი" „პატარა" მსახიობზე, „პატარა" რეჟისორზე და „დიდებულ" საზოგადოებაზე. რა არის ჰამლეტი და მისი აზროვნება. რად იწვევს ასეთს დაუსრულებელს განმარტებას. გიოტეს მიერ მოხდენილი ცვლილება ჰამლეტის გაგებაში. დანიის პრინცის პიროვნებაზე დაკისრებულ საკითხის აზრი და მისი წარმოშობის მიზეზები. რომელ ხანაში ახლდება ხოლმე ინტერესი. „ჰამლეტი" და „მუდმივ" ტიპთა მიმართ. რას მოასწავებს ამ პიესის დადგმა. მწერლობისა და თეატრის მახლობელი მომავალი. შექსპირი, ტოლსტოი და მათის დავლურის მნიშვნელობა.

ადგილების ფასი დაკლებულია. საშეგირდო ბილეთი **50** კ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე და საღამოს 6—წარმოდგენის დასრულებამდე.

ანონსი 25 და 27 თებერვალს ლექციები ბაქოში, 28 თებერვალს—განჯაში, 29 თებ. და 1 მარტს—ქუთაისში.

(5—1115—1)

„ბირჟის" დარბაზი.

კვირას, 19 თებერვალს,

ქართულ სცენის მოყვარეთა და დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I) **ბატონი და ყმა,** დრამა 3 მოქმ. დადიანისა.

II) **პრიკაშჩიკი შკაფში.** კომედია 1 მოქმ. ცაგარლისა.

III) **დივერტისმენტი.**

მონაწილ. მიიღებენ ქ-ნნი: კევრიძე, მარგველიაშვილი, ბ-ნნი: ლ. გიორგობიანი, ტ. ქვემოკლიძე, მოხევე, თვალჭრელიძე, გაგნიძე, გველესიანი, კაპანაძე, სტეფანოვი, ფირიშვილი, ოგანოვი, ჩიშკარიანი, გარსევანიშვილი. ბილეთები იყიდება ბირჟის კასაში.

დასაწყ. სალ. 7½ ს.

(2.1064.) გამგე **ი. გარსევანიშვილი.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო ავ. (ქირურგიული)	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
სამშობიარო ქალ. სნეულებ.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. ავადმ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ავ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვისა 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კისნულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606" წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათიანი საფასურით. (წ.—1010—272)

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა

ტუბერკულინ

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ. 100—1534—93)

ქართული თეატრში

ორშაბათს, 20 თებერვალს,

გამგე-კომიტეტი **ქართველ ქალთა ამხანაგობის ჭრა-კერვის სკოლისა ჰმართავს**

ლიტერატურულ-მუსიკალურ-დრამატიულ - საღამოს

კნეინა ელისაბედ ირაკლის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანის თაოსნობით დაწვრილებით აფიშებში. **დასაწყ. საღ. 8½ ს.** (3—3)

გამოვიდა და იყიდება

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნის მაღაზიაში

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

სალიტერატურო კრებული

„ბრდღემლი

ფასი 1 მ. 50 კ. (თ.1098.10)

სარატოვის სარპინკის მექარხნენი

სავაჭრო სახლი ე. ე. „მაიერ"

ერევნის მოედანი, სასტუმრო **„კავკაზის"** ქვეშ.

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენს მაღაზიაში იშოვება დიდძალი შიგრჩევით:

სარპინკები აბრეშუმისა, ნახევრად აბრეშუმისა, აბრეშუმ ნარევი, და სხვა ხარისხისა ყოველგვარ მოდურ-ხაზიანი 1912 წლის სეზონისა.

თეთრეულის განყოფილებაში მამაკაცთა და ქალთა თეთრეული; **კოფთები ქალებისა** დაფანჯრულ აბრეშუმის ქსოვილებისა და სარპინსკისაგან დამზადებული **წინსაფარები—რეფომა** სარპინკის ტილოსი.

ჩულქები და წინდები სკანდონავიის სარპინკის ნართისა. ‖ **ტილო** და სხვა ტილოს საქონელი საუკეთესო ქარხნებისა.

ყველა საქონელზე დადებულია საქარხნო ფასები.

(1—1116—1) პატივისცემით სავაჭრო სახლი „ე. ე. მაიერ".

უდიდესი იაფი ვაჭრობა

კიდევ გრძელდება **4** დღით

20, 21, 22 და 23 თებერვალს

პ. ს. დოროჟნოვის

მაღაზიებში:

1) **უმთავრესი,** სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, **ტელეფონი № 583.**

2) **იაროსლავისა,** მიხეილის ქ., ლიუტერანთა ეკლესიის გასწვრივ, **ტელეფონი № 838.**

რადგანაც დიდ-ძალი ყოველგვარი საქონელი მოგვდის,

უდიდეს იაფ ვაჭრობისათვის.

ათივე სპეციალურ განყოფილებიდან **კიდევ დიდ-ძალი საქონელი დაგვრჩა გაუსყიდავი და** ამისათვის გავაგრძელეთ

უდიდესი იაფი ვაჭრობა 4 დღით

ე. ი. 20, 21, 22 და 23 თებერვალს.

მთელის საქონლის გაყიდვისათვის ფასები ძალიან დავწიეთ.

აბრეშუმეულისა და შალეულის განყოფილებაში

იაფ ვაჭრობის დროს არსებულ ფასებს კიდევ

დავაკელით 20%.

ყველა საქონელზე **გასაოცარი იაფი ფასებია აღნიშნული.**

უზარმაზარ ფანჯრებში **გამოფენილია ნიმუშები:** საზღაპრო იაფ ფასების აღნიშვნით.

იაფ ვაჭრობის დღეებში ვაჭრობა იწარმოებს დილის 9½—2½ საათამდე და ნაშუადღევის 4—6½ საათამდე.

(1.1114.1. **პ. დოროჟნოვი.**

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

კვირას, 19 თებერვალს,

ი. გედევანიშვილის პატივსაცემლად და თანადასწრებით ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება მისივე ცნობილი პიესა;

მსხვერპლი,

დრამა 4 მოქმედ.

მონაწილეობას ღებულობენ ქ-ნნი: ამირაჯიბი, ბეჟანიშვილი, კარგარეთელი, ლეჟავა, ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, არადელი, აბდუშელი, გუნია, გამყრელიძე, ჟივიძე, ივანიძე, მატარაძე, შათირიშვილი, ციციშვილი.

ადგილ. ფასი ჩვეულებრივი. **დასაწყ. სალ. 8 ს.** რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ანონსი. მზადდება: გამცემელი, ოტელო და სხ. (1—2101—1)

ახალი კლუბი

სამშაბათს, 21 თებერვალს 1912 წ.

2-ე სიმფონიური კრება

ს. ი. პრესმანის ლოტბარობით

ორკესტრი შეასრულებს: სიმფონია H—mole შუბერტისა; უვერტიურა „ეგმონტი" ბეთხოვენისა; შესავალი ოპ. „ლოენგრინისა"—ვაგნერისა; ინტერმეცო ოპ. „ტაისა"—მასსენესი და სლავიანური მარში ჩაიკოვსკისა.

დასაწყისი სწორედ საღამოს 9 საათ.

გალერია განსაკუთრებით მოსწავლეთათვის არის გადადებული.

ადგილების ფასი თეატრში 1 მ.—50 კ. 30 კ.—მდე; გალერეიაში 40—10 კ.—მდე.

ნომრების შესრულების დროს თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია.

სტუმრები იხდიან: კაცები 50 კ., ქალი და სტუდ. 25 კ. (2—1068—2)

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 238)

გამოცდილმა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв, 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(т. 1084.91)

სახალხო სამუსიკო დასაკრავთა ვაჭრობა

ი. ე. გუტკოსი და პ. ე. კოსარევისა

ტფილისი, ვერის დაღმართი, № 1.

გასაყიდად გვაქვს აუარებელი სკრიპკები, **შიგარჩევით,** ვიოლონჩელები, კონტრაბასები, გიტარები, მანდალინები, ბალალაიკები, ვენის გარმონები—პინჩენსკის სისტემისა და სარატოვის გარმონები. რადგანაც საქონელს პირდაპირ ქარხნიდან ვიღებთ და ბინის ქირადაც ბევრს არა ვხარჯავთ ჩვენი საქონლის ფასები მეტის-მეტად იაფია. იაფობა ყოველ მეტოქეობის გარეშე.

ყოველგვარი სიმები.

შეიძლება ფასის ნაწილობით გადახდა და საკრავების **ქირით წაღება.** აგრეთვე გვაქვს ყველა სამუსიკო საკრავთა სახელმძღვანელონი, ეტიუდები, კონცერტები და უდიდესი არჩევა **სანოტე ქაღალდისა.**

ვკისრულობთ ყველა სამუსიკო დასაკრავთა შეკეთებას. აქვე იკითხეთ გამოცდის მუსიკის მასწავლებელთა მისამართი. (10.1014.9)

ექიმი ბინლისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა
ა კ ა კ ი-ს
თხზულების პირველი წიგნი,
რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავ და აგრეთვე **ძველიც**, ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**
ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდნა“-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:—„კოლხიდის“ რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში“. ბათომს ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.25)

ტფილისის გუბერნიის თავ.-აზნაურთა
წინამძღოლი
გუბ. თავად-აზნაურთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ
გუბერნიის მორიგი კრება
გაიხსნება ამ წლის 27 მაისს, ქ. ტფილისში.
(3. 1054. 2).

1 თებერვლიდან 1912 წ. ქუთაისის საად.-მამულო ბანკის გამგეობამ
დამნიშნა აგენტად სესხის მისაღებად
დ. ჭიათურაში, ყვირილაში და საჩხერეში. სესხის მიღების მსურველთ შეუძლიანთ მომმართონ მე დ. ყვირილაში, საკუთარ სახლში.
პატივისცემით **თ. ნიკოლოზ (ილიკო) გიორგის ძე აბაშიძე.**
(1—1113—1)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ ქუჩაზე, №23. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
ბოიოვსკი. ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ. 4—5 საათ.
არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 11 ს.
მონსე. ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.
ნოვიცკი. ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.
კალმაკაროვი. ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.
გრეიცი. თვალისა, 1—2 საათამდე.
უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
რიდელი. შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.
ბალდინა-ნოვიცკაია. ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.
რუდენკო. შინაგ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.
იოსელიანისა ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.
ბაგდოევისა, კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.
ლიმონი. კბილ. 10—1 ს.
კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს
საღამოს 5—7 საათამდე.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (თოშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსარის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ. 1032—53).

ვაგზლის კერძო
სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,
ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
. ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.
შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით
წამლობა „606“-ით
(წლ. 1090 275)

დოქტორი მედიცინისა
ი. ე. თიკანაძე
სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.
საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 107)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 78).

ექიმი პ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.48).

ექიმი კბილისა ნინო რეხილაძე
მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—46).

ექიმი ე. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა. პარიზელ პროფეს. Mnthien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—99).

ექიმი დ. სურამში აპოლონ ლუკას ძე
ტყემალაძე
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს. (თ.—125—5)

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №

ტფილისი, 19 თებერვალი

ისტორიული დღე. კიდევ ბევრი დრო გაივლის, სანამ რუსეთი დღევანდელ ისტორიულ დღეს დაივიწყებდეს. კონკრეტული აქტი გლეხთა განთავისუფლებისა თავისებურად აღიბეჭდა მცხოვრებლებში, რომელნიც ამ რეფორმაში ხედავენ დასაწყისს პიროვნების საერთო განთავისუფლებისას. 19 თებერვალს მარტო გლეხები არ განთავისუფლებულან. მან გამოიწვია პროცესი, რომელმაც მთელ რუსეთს უცვალა ფერი და ცხოვრების ახალი პირობები დაამყარა. გაუწყვეტელ რგოლებითაა გადაბმული ეს ისტორიული აქტი მის შემდგომ ფაქტებთან. ერთხელ დაწყებული პროცესი, მიუხედავად მრავალ მხრივ დაბრკოლებისა, მაინც თავისას არ იშლიდა და ნელნელა, მაგრამ სისტემატიურად იკვლევდა გზას უკეთეს მომავლისკენ.

გლეხთა განთავისუფლება, როგორც საზოგადოდ ყველა ძირითადი რეფორმა, ისე არ განხორციელებულა, როგორც რუსეთის იმ დროინდელი მოწინავე საზოგადოება მოითხოვდა. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ჩვენს ქვეყანაზე, სადაც ჯერაც მოქმედობს ბატონყმობის სამარცხვინო ნაშთი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გლეხთა განთავისუფლების დღე ისტორიულ დღედ გადაიქცა. მოხდა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ნათლადა სჩანს შინაგანი, აუცილებელი კავშირი ამ დღისა და მის შემდეგ მომხდარ ამბებთან. სწორედ ეს კავშირი ჰხდის 19 თებერვალს ისტორიულ დღედ.

გლეხთა განთავისუფლებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, მაგრამ ლოღიკა სინამდვილისა კერძო პირთა ლოღიკაზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, და ბატონ-ყმობაც მოისპო. არამც თუ მოისპო, მან გამოიწვია ისეთი მოვლენები, რომელნიც წარმოუდგენელი იქნებოდა ბატონყმობაზე დამყარებულ სახელმწიფოში..

ამიტომ აღმოუშლელი ხდება რუსეთის მცხოვრებთა მეხსიერებიდან ისტორიული დღე—19 თებერვალი.

სახელმწიფო საბჭო

აკიმოვი თავმჯდომარეობს.

მთავრობის ლოჟაში იუსტიციის მინისტრია. საბჭო ისმენს განსაკუთრებულ კომისიის მოხსენებას ადგილობრივ სასამართლოს განახლების კანონ-პროექტის შესახებ.

თავმჯდომარე სთხოვს მოლაპარაკეთ, კანონ-პროექტის ფარგალს ნუ გასცილდებიან. საბჭოს დებულების თანახმად თვითეულ დეპუტატის სიტყვა ნახევარ საათით განსაზღვრეს.

კომისიის თავმჯდომარე **მანუხინი** აღნიშნავს განზრახულ კანონის დიად მნიშვნელობას, რომელიც მისის აზრით უმთავრესი კანონ-პროექტია, საკანონმდებლო დაწესებულებათა არსებობის ხუთი წლის განმავლობაში. ორ უმთავრეს საფუძველს აღნიშნავს ადგილობრივი სამოსამართლოს გაერთიანება და მისი მცხოვრებლებთან დაახლოვება. იგი კომისიის უმრავლესობის აზრს იცავს და იმ ხუთს წევრს უპასუხებს, რომელნიც კანონ-პროექტის უარყოფის მომხრენი არიან. უმცირესობის აზრი, ვითომც კანონ-პროექტი 1889 წლის 12 ივლისის კანონის საფუძველზე შექმნილ ადგილობრივ სამოსამართლო მომრიგებელ დაწესებულებათა დარღვევას გამოიწვევს, უსაფუძვლოა. პირიქით 1889 წელს საერობო უფროსების ინსტიტუტის დაარსებამ გამოიწვია 1864 წლის სასამართლოს დებულებათა ძალით შექმნილ სამოსამართლო დაწესებულებათა დარღვევაო. სტოლიპინს ხშირად უთხოვია კომისიისთვის, საერობო უფროსებს სამოსამართლო ფუნქციები ჩამოართვით, რადგან მათ უამისოდაც მრავალი ადმინისტრაციული საქმე აქვთო.

ნეიტგარტი გამოსთქვამს უმრავლესობის აზრს სათემო სასამართლოს შესახებ. უმრავლესობასა ჰსურს სათემო სასამართლოს მოსპობა კი არა, არამედ იმ ნაკლის აცდენა, რომელიც მას აქვსო.

უვაროვი. სრულებით წინააღმდეგია სათემო სასამართლოსი, კომისიის უმრავლესობის განცხადება, თითქოს გლეხ დეპუტატებს სურვილი გამოეთქვათ სათემო სასამართლოს დაცვისა, უსაფუძვლოა, ვინაიდან იმავე დეპუტატებმა სხვა დროს სურვილი გამოსთქვეს, რომ თემი წოდებათა გარეშე უნდა იდგესო. სათემო სამოსამართლო უნდა მოვსპოთ, როგორც დრო მოჭმული, და მის მაგიერ მომრიგებელი სასამართლო უნდა დავაარსოთ, რომლის მოსამართლეებსაც მთავრობა განაწესებს.

სტიშინსკი. განზრახულ რეფორმის განხილვა საერობო უფროსთა ინსტიტუტის უკანასკნელ დღეების მომასწავებელია, სასამართლო ფუნქციათა ჩამორთმევით, იგი, ჰკარგავს ყოველივე იმ მნიშვნელობას, რომელიც მათ 1889 წლის კანონმა მიანიჭა. სოფელში კვლავ ქაოსი გამეფდება. ყველა ბრალდება საერობო უფროსების შესახებ უსაფუძვლოა. მოლაპარაკე 25 წევრის სახელით კანონ-პროექტის უარის ყოფას მოითხოვს, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც სათემო სასამართლოს ეხება.

სხდომა დროებით შესწყვიტეს.

სხდომის განახლებისას **იუსტიციის მინისტრი** აღნიშნავს, ადგილობრივ სასამართლოს წესიერად მოწყობა საფუძველია სამართლიანობისა და კეთილ-მოწყობისა. სათემო სასამართლოს შესახებ მინისტრი ამბობს: მთავრობას ჰსურდა სათემო სასამართლოს მოსპობა, მაგრამ ჯერ კიდევ განსაკუთრებითი კომისიის სხდომის დროს წინადადება პრემიერ მინისტრმა და იუსტიციის მინისტრმა განაცხადეს: თუ სათემო სასამართლოს მოსპობას კი არა განახლების სასარგებლო აზრს გამოსთქვამთ, მთავრობა წინააღმდეგი არ გახდება; ხოლო უეჭველია, რომ ეს სასამართლო დროებითია და მომავალში უნდა გაუქმდესო. რაც შეეხება საერობო უფროსთა სამოსამართლო ფუნქციების ჩამორთმევას, ამ შემთხვევაში მთავრობას მთელი სახელმწიფოს სარგებლობა და სიკეთე ახელმძღვანებდა. მინისტრი დარწმუნებულია, თუ მათ სამოსამართლო ფუნქციებს ჩამოვართმევთ, ამით ინსტიტუტი არას წააგებსო.

დასასრულ მინისტრი აღნიშნავს, საერობო უფროსთა ხელში ადმინისტრატიული და სამოსამართლო ფუნქციების შეერთება აფერხებს ახალ სისხლის სამართლის დებულების განხორციელებას და მაშასადამე ეს საკითხი მთელ სახელმწიფოს ინტერესებს ეხება და არა იუსტიციის უწყებს ინტერესებსაო.

შრეიბერი. უმრავლესობის აზრს ემხრობა. **კონიც** უმრავლესობის აზრს იცავს და ამბობს: შეუძლებელია ორი ბატონის სამსახური და სწორედ ასეთ მდგომარეობაში იმყოფებიან საერობო უფროსები. გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ იგინი უფრო გულდასმით—ადმინისტრატიულ მოვალეობას ეკიდებიან, ვიდრე სამოსამართლო მოვალეობათა.

უშაკოვი. კანონ-პროექტის წინააღმდეგ ილაშქრებს.

შემდეგი სხდომა 18 თებერვალს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ ნამესტნიკმა ნება დართო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, ტფ. რეალურ სასწავლებელში **სწავლის ფულად წელიწადში 90 მან. დააწესოს,** ნაცვლად 80 მანეთისა.

◆ **ახალი კლუბის** წევრთა წლიური კრება დღეს მოხდება, ასარჩევი არიან კლუბის მამასახლისები.

◆ 19 თებერვალს **სახალხო საბავშვო კითხვები შესდგება შემდეგ ადგილებში:**

1. **საექიმო დარბაზში** წაიკითხავს ქ-ნი კარბელაშვილი „სურამის ციხე“.
2. **ავჭალის აუდიტორიაში** წაიკითხავს ქ-ნი ლვინიევა „ედიტა და ქურდი“ და „თომას თავგადასავალი“.
3. **ავლაბარში** წაიკითხავს ქ-ნი ფილავა: „გლეხკაცობის განთავისუფლება“.
4. **ნათლულში** წაიკითხავს ქ-ნი ჯარიაშვილი „კაკო ყაჩაღი“.
5. **ხარფუხში** წაიკითხავს ქ-ნი ჟურული: „კაკო ყაჩაღი .
6. **ნაძალადევში** წაიკითხავს ქ-ნი ბარნაბიშვილი: „კაკო ყაჩაღი“—**კითხვები სურათებიანია.**

◆ **შრომის ბირჟაში** იანვრის განმავლობაში სამუშაო ითხოვა 205 კაცმა და 252 ქალმა. სამუშაო 244 კაცმა მიიღო.

◆ **ლექცია.** დღეს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა სახალხო თეატრში რუსულს ლექციას ჰმართავს. წაიკითხავს ქალთა უმაღლეს კურსების ლექტორი ა. პ. შანინი შემდეგს თემაზე: „რას გვასწავლის ფიზიკა“. დასაწყისი დილის 11 1/2 საათზე.

◆ **სიონის ტაძარში** დღეს მწირველია ალავერდის ეპისკოპოსი დავითი.

◆ **ქალაქ ტფილისისის ახალი გეგმის** პროექტს ქალაქის გამგეობა უკვე ადგენს. გეგმა ვრცელი იქნება.

◆ **კიდევ მეპურენი.** გუშინ ქალაქის მეხუთე უბანში 18 მეპურეს შეუდგინეს ოქმი, მეშვიდეში—5 და მეცხრეში—5.

◆ **ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის წევრნი და ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსი ზედამხედველი** დღეს ფურნეებსა დ თორნეებს დაათვალიერებენ, რათა ადგილობრივ გამოარკვიონ, რა ხარჯი აქვთ მეპურეებს პურის გამოცხობის დროს. დათვალიერებას დილის 10 საათიდან შეუდგებიან.

◆ **ტფილისის მეეტლენი** დღეს ქალაქის გამგეობის შენობაში თავიანთს მამასახლისს აირჩევენ.

◆ **ქალაქის ლომბარდისა, გამსესხებელ კასისა და სააუქციონო დარბაზის სარევიზიო კომისია** ხვალ, 20 თებერვალს თავის თავჯდომარეს აირჩევს.

◆ **ჟურნალი „განათლება“.** რედაქციამ მიიღო სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ „განათლების“ თებერვლის ნომერი. **შინაარსი:** 1. ეროვნული შავი ჭირი იმიერ და ამიერ საქართველოში, იაკობ გოგებაშვილისა. 2. ვილიამ ჯემსი. საუბარი ფსიხოლოგიაზე, დ. ო—ძისა. 3. ჰიგიენა ილ. ალხაზიშვილისა. 4. მოკლე საუბარი ანატომიიდან, ექიმ. ევგ. ლოსაბერიძისა. 5. თელავის კურსების გამო, საქმე შემოქმედელისა და ვ. ჯაფარიძისა. 6. იდეალიდან სინამდვილეში, ციაგისა. 7. მოღალატე (თარგმანი) ილ. გოგიასი. 8. შოთა, შანშიაშვილისა. 9. ადამიანი, ვაჟა-ფშაველასი. 10. ჩემს ძაღლს, შიო მღვიმელისა. 11. სიცოცხლის საგალობელი, ი. ფერაძისა. 12. წუხილი დ. თურდოსპირელისა. 13. გოდება, ლადო გეგეჭკორისა. 14. სააკაძის ამონაკვნესი. ს. აბულაძისა. 15. „ახალი ქართლის“ შვილები „ჭკვიანი“ (დახასიათება), ივ. ვართაგავასი. 16. ახლად დასაბეჭდად გამზადებულ კურთხევანის გამო, პასუხად კეთილის მოსურნეს არ. პიროსისა, დეკ. კ. კეკელიძისა, დეკ. კ. ცინცაძისა, ი. აბულაძისა. 17. ხმა სახალხო მასწავლებლისა, 18. უპატრონო სკოლები, მოკეთესი. 19. ბიბლიოგრაფია, Wal ko-სი. 20. უცნაური რეცენზია, ი. გოგებაშვილისა.

◆ ჩვიდმეტ თებერვალს, საღამოს, სურფსარქისის ქუჩაზე შეიპყრეს ცნობილი ჯიბგირი, რაჭის მაზრის სოფელ ბრაულის მცხოვრები ვლადისლავ ალექსის ძე სხირტლაძე, რომელმაც ტრამვაის ვაგონში ქალს ქისა მოჰპარა. ქისაში ერთი მანეთი იყო.

◆ 17 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, გლდანის ქუჩაზე ჩრებში შეხვეული ბავშვი იპოვეს, მდედრობითის სქესისა, დაახლოვებით ოთხის თვისა. ბავშვი ოლღას საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს,

◆ შეიპყრეს ტფ. მოქალაქე გიორგი ზაქარიას ძე გელანოვი, 23 წლისა, რომელსაც თავი საქციზო სამმართველოს მოხელედ მოჰქონდა, ქალაქის მეექვსე უბანში ვაჭრებს სხვა და სხვა შარსა სდებდა და ქრთამებს ართმევდა. შეპყრობილი გამომძიებელს გადაეცა.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 22 თებერვალს მოხდება.

◆ **სახლის პატრონთა და სახლის დამქირავებელთა საზოგადოების** საგანგებო კომისიის კრების გაგრძელება 22 თებერვალს მოხდება.

◆ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 20 თებერვალს მოხდება. განსახილველია 13 საქმე. ამ დღეს საბჭო, სხვათა შორის, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლის გამგე კომისიას აირჩევს.

ქუთაისი.

◆ ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა საადგილმამულო ბანკის წინაშე, რომ მან ხანგრძლივი სესხი გასცეს ქალაქის უძრავ ქონებაზე საღორიის აგარაკში. **ქალაქსა ჰსურს, მიიღოს ერთი მილიონის სესხი გირავნობის ფურცლებით** და ამ თანხით განახორციელოს საკითხი წყლის გაყვანისა და ტრამვაის გაყვანის შესახებ.

◆ ქუთაისში განზრახვა აქვთ **ქართული სამეურნეო საზოგადოება დაარსონ** იმ სახით, როგორიც ტფილისში არსებობს. ამისათვის სათანადო მთავრობას წარუდგება დასამტკიცებლად დამაარსებელთაგან უკვე მიღებული წესდება.

◆ როგორც გავიგეთ ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება, როგორც განზრახული იყო, მარტში არ მოხდება, რადგან ამ თვის დამლევს აღდგომის უქმეებია. კრების დანიშვნას აპირებენ აპრილის მეორე ნახევარში.

◆ როგორც „ცხოვრებას“ სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, ქუთაისის წმ. **ნინოს ქალთა გიმნაზიის უფროსი ქალი** გადაჰყავთ, სასწავლებელში მომხდარ ინციდენტის გამო, მის ალაგას ინიშნება ქ-ნი გერატი.

◆ 14 თებერვ. ქუთაისის **ციხიდან გაანთავისუფლეს ასათიანი და აბულაძე,** რომელნიც იანვრის ბოლო რიცხვებში ჭიათურაში მომხდარ ჩხრეკის დროს დაატუსაღეს.

◆ **ქუთაისის საოლქო სასამართლოს** სესია 24 თებერვალს **დ. საჩხერეში** გაარჩევს სერგო ბაქრაძის საქმეს. ბაქრაძეს ბრალდება ღულუნაშვილის მოკვლა.

◆ სამოსამართლო პალატამ გაზეთ **„მნათობის“** რედაქტორს, ბ-ნ **რაჟდენ ვაჭრიძეს** 11 თებერვალს მეორე საბრალმდებლო ოქმი ჩააბარა. ვაჭრიძეს ასამართლებენ გაზეთის 65 და 76-ში „რუსეთში შიმშილობის შესახებ“ მოთავსებულ წერილებისათვის.

◆ 20 თებერვალს **დ. ზუგდიდში** ი. გაბილაია წაიკითხავს სახალხო ლექციას კოოპერაციაზე.

◆ 5 მარტს დიდ ჯიხაიში დანიშნულია ადგილობრივ **შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის კრება.**

◆ მარტის შუა რიცხვებში ქუთაისში კავკასიის **საოლქო სამხედრო სასამართლო გაარჩევს** მასწავლებელ პ. ბერძულის, ე. ზაქარიაძის და ალ. ბუღლიშვილის საქმეს. ამათ ბრალდებათ 1905 წლის რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება.

◆ 13 თებერვალს ქუთაისის ციხიდან **რუსეთის საკატორღო ციხეში გაგზავნეს** მალაქია დგებუაძე. დგებუაძეს 4 წლის კატორღა აქვს მისჯილი ს. რ. პარტიის წევრობისთვის.

◆ მ. გორკის ახალ ნაწარმოებს, „ვასია ჟელეზნოვს“ რუსულიდან ქართულად სთარგმნიან [illegible] **დელი და ზ. ჩ—ძე.**

◆ ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობამ სარაჯიშვილის ქვრივს ბერლინში შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „გვაქვს პატივი გაუწყოთ, რომ 29 იანვარს დრამატიული საზოგადოების არა ჩვეულებრივმა საზოგადო კრებამ აგირჩიათ თავის საპატიო წევრად და დაადგინა გამოგიცხადოთ თავისი ღრმა პატივისცემა და მადლობა იმ უხვი საჩუქრისთვის და კეთილი სურვილებისათვის, რომელსაც თქვენ იჩენთ მშობლიურ თეატრისადმი“

ამის საპასუხო დეპეშა ქ-ნი სარაჯიშვილისაგან გამგეობამ 14 თებერვალს მიიღო: „დარწმუნებული ვარ რომ ჩვენი ნაციონალური თეატრი აყვავდება დრამატიული საზოგადოების კეთილის და კარგი მზრუნველობით. გულითად გმადლობთ პატივისცემისთვის—სარაჯიშვილისა“.

◆ სამეცნიერო წრეს, რომლის დაარსების ამბავი აღნიშნული იყო ჩვენს გაზეთში, სახელად **„ქუთაისის სამეცნიერო-ფილოსოფიური საზოგადოება“ ერქმევა.** საზოგადოების მიზანია: მეცნიერების ყოველი დარგის გავრცელება ხალხში; სამეცნიერო ტერმინების შემუშავება ქართულს ენაზე და ქართველთა შორის მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვიძება. ჯერ-ჯერობით წრეში ოცდახუთამდე წევრია.

◆ ახალის განკარგულებით **ქუთაისში ტუსაღების ნახვა შეიძლება შემდეგ დღეებში:** პირველ განყოფილებაში—კვირასა და ხუთშაბათს, მეორეში—შაბათს და ოთხშაბათსა, მესამეში—პარასკევსა და სამშაბათს, ტუსაღების ნახვა შეიძლება დილის 12—საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

◆ ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის წევრთა საზოგადო წლიური კრება თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში მოხდება. კრების ერთი კვირით წინად გამგეობა დაბეჭდილ ანგარიშებს დაურიგებს იმ წევრთ, რომელთაც შემოტანილი ექნებათ გასული წლის ხვედრი ფული (1 მანეთი).

◆ 15 თებერვალს, ხმოსანი იურისტების სხდომა, რომელსაც უნდა განეხილა საკითხი წყალსადენის წინა სწარი ხელშეკრულება, იურისტთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა. ხელახალი სხდომა დანიშნულია შაბათს, 18 თებერვალს.

◆ „კოლხიდის“ რედაქციას ქუთაისის რეალურ სასწავლებლის მოწაფეთაგან მიუღია ერთი თუმანი **თამარაშვილის ძეგლისათვის.**

◆ ქუთაისის გუბერნატორი ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ თანახმად კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის დადგენილებისა ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ **ხმოსანი გრ. ბარათაშვილი** ქუთაისის გუბერნიის საოლქო საქმეთა საკრებულოს წევრად დამტკიცდა. („კოლხ“)

◆ კვირას 19 თებერვალს ჭიათურაში მოხდება შავი ქ. ი.—ოს წევრთა კრება, რომელზედაც მოწვეული არიან ინჟინრები; განიხილავენ მდინარე ყვირილის გაწმენდის საკითხს.

◆ ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთმა“ მიიღო „სახ. გაზეთის“ პრემია „გრდემლი“. იგი შეუძლიანთ მიიღონ კანტორაში, როგორც მის ხელის მომწერლებს ისე იმათაც, ვისაც ფოსტით მისდის გაზეთი. ხოლო ქალაქ გარედ კანტორის ხელის მომწერნი მიიღებენ „გრდემლს“ როცა გასაგზავნ 30 კაპ. წარმოადგენენ.

(„ცხოვრ“)

კავკავი

◆ 16 თებერვალს კავკავში გროზნიდან ჩამოვიდა ეტაპი, რომელშიაც 70 დედაკაცია და ბავშვი 75 მამაკაცი, ძუძუთა ბავშვებიც. 70 წლის მოხუცებიც ურევია. ამათ, როგორც ამბობენ რუსეთის შიდა გუბერნიაში ასახლებენ, **ზელიმხანის დაფარვისათვის.**

სოხუმი

◆ ამ ჟამად კერძოთ სოხუმსა და საზოგადოდ აფხაზეთს ეწვივნენ **ფრანგი კაპიტალისტები** და როგორც თვით სოხუმსა, ისე მისს არემარეს ათვალიერებენ. სოხუმელთ დიდი იმედები აქვთ მათი: ნავთ- სადგურს, კურზესა და სხვას აგვიშენებენო, ვნახოთ, თუ რას მოგვიტანენ ჩვენი ფრანგი სტუმრები. ის კია, რომ აქ სამკალია ფრიად მრავლია, ხოლო მომკალი არც ერთი, და შეიძლება მხნე და ენერგიით აღსავსე ფრანგების წყალობით უცხო კაპიტალმა ჩვენსკენაც ჰქნას პირი და საწყალ ფურებად გადაგვაქციოს.

წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

ხელის მოწერის პირობების თანახმად წლიურ ხელის-მომწერად ითვლება:

ვინც ხელის მოწერის დროს განაცხადებს სურვილს, რომ მთელი წლით უნდა გაზეთი და მაშინვე შემოიტანს 3 მანეთს,

და ვინც წლიურ დანარჩენ ფასს გადიხდის 1 **მარტამდე 2 მ.**, 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენ 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

რადგანაც 1 **მარტი** ახლოვდება ვთხოვთ ვისაც შემოსატანი აქვს შემოიტანონ 2 მან.—წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკარგება წლიურ ხელის მომწერის უფლება, რომლის ძალიდაც პრემია **მიიღო** და ამიტომ გაზეთის გზანაც შეწყდება.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

ამისთანა უნუგეშო მდგომარეობას ისევ ამათი მოსვლა სჯობია: ცოტა რამეს შევისწავლით და შევიძენთ მათგან მაინც.

✦ **ქართული სკოლის** შენობის დახურვას უკვე შეუდგნენ. შენობა მშვენიერი იქნება, თუ კი უსახსრობამ არ დააბრკოლა საქმე.

✦ აგერ ორი კვირაა, რაც აქეთ **გამუდმებით წვიმს** და გულს აწყალებს.

✦ **სიმინდის ფასი** არა-ჩვეულებრივ იწევა, ხოლო აქედან მაინც გლეხ კაცს ბევრი არაფერი ერგება: იმდენი წურბელა ახვევია მას გარშემო.

პროვინცია

✦ **ს. ბაბუშერი.** (სოხუმის ოლქი) ბაბუშესელებმა გადასწყვიტეს **საკრედიტო ამხანაგობის** დაარსება რომ მით ცოტაოდენი შეღავათი მოუპოვონ თავისს უმწეო მდგომარეობას.

ჟურნალისტის დღიური

55.

ახალი კლუბი

როდესაც ახალ კლუბის დაარსების აზრი დაიბადა, ინიციატორებს სრულიად სხვანაირი მოსაზრება ამოძრავებდა. მაგრამ, დროთა ვითარებით, შეიცვალა როგორც შეხედულება კლუბზე, ისმისი ფიზიონომია.იგი დაბალ ხარისხის გასართობ საშუალებად იქცა და ქართული ხასიათის ნაცვლად საერთო ხასიათი მიიღო. ასეთს პირობებში საზოგადოების ფართო წრეებში მასაც თავისი კულტურული ღირებულება დაეკარგა. შეიძლებოდა სრულიადაც არავითარი ყურადღება არ მიგვექცია ამ დაწესებულებისთვის, მაგრამ ერთი გარემოება იძულებულ გვყოფს, მიუხედავად ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულებისა კლუბისადმი, ყურადღება მივაქციოთ. ახალი კლუბი მოგებიან წყაროდ გადაიქცა. მას შეუძლიან, თუ სათავეში საზოგადოებრივ ინსტინქტებით დაჯილდოვებული პირნი მოჰყვნენ, დიდი ქონებრივი დახმარება აღმოუჩინონ ჩვენს კულტურულ დაწესებულებებს. საზოგადოდ კლუბები ასეთს დახმარებას ერიდებიან. იმათაც თავიანთი ღელვა, თავიანთი ეთიკა აქვთ. კლუბთა ტრადიცია გვიჩვენებს, რომ ისინი საჭიროდ ხედავენ მთელი შემოსავალი თვით კლუბს მოახმარონ. ათასში ერთხელ თუ გადაუგდებენ კაპეიკებს სხვა და სხვა დაწესებულებებს. ასეთია საზოგადო ტრადიცია კლუბებისა. თუ ახალმა კლუბმაც ეს აზროვნება შეითვისა და საზოგადო ტრადიციების გაგრძელება მოისურვა, მაშინ მას კულტურული ღირებულება კი არა, არსებობის გასამართლებელი საბუთიც დაეკარგება.

ჩვენ გვგონია, ახალი კლუბი მეორე გზას ამჯობინებს და შეეცდება დახმარების ხელი გაუწოდოს ჩვენს ღარიბ კულტურულ დაწესებულებებს. ამიტომ ინტელიგენციამ ცოტა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს კლუბს. შეიძლება კლუბის ცხოვრება არ გაინტერესებთ, მაგრამ ეს მაინც იმას არ ნიშნავს, რომ სრულიად გულ-გრილად უნდა უცქიროთ მას და არავითარი ღონე არ იხმაროთ, ისეთი მიმართულება მისცეთ კლუბის შემოსავლის განაწილებას, რანაირიც ჩვენი საჭიროებებისთვის სასარგებლო იქნება.

კლუბმა თავისი კულტურული მიზანი ვერ შეასრულა. იმას მაინც შევეცდოთ, რომ შემოსავალი ფუქსავატად არ დაიქსაქსოს და საზოგადოების ჯიბიდგანვე გამოწირული ფული ისევ საზოგადოების კულტურულ დაწესებულებებს დაუბრუნდეს.

შინაური.

კახეთის რკინის გზის გამო.

(წერილი რედაქციის მიმართ).

წარსულ კვირას პატარძეულში გვეწვივნენ ქ. ტფილისიდან ლელო დიმიტრის ძე ანდრონიკოვი, კ. ტყავაძე, ნ. ახმეტელოვი და ამიერ კავკასიის რკინის გზის აგენტად ნამყოფი კ. ანდრეევი. მათ მოიწვიეს ხალხი და აუხსნეს, რომ ამ ცოტა ხანში შეუდგებიან გაყვანას კახეთის რკინის გზისა და დაფასებას იმ მამულებისას, რომელზედაც ეს გზა გაივლის. შესდგება დამფასებელი კომისია, სადაც იქნება, სხვათა შორის, რუსეთ-აზიის ბანკის მხრივ—აგენტი, რომელიც ეცდება დასდოს მამულებს რაც შეიძლება უმცირესი ფასი, რაც ხელ საყრელია მათთვის-მოსამსახურეებისათვის, ე. ი. ვსთქვათ მათ აქვთ გადაწყვეტილი ფასი მამულებისა, რაც კი ჰყვება რკინის გზას, დაახლოებით 600,000 მან. მათ დაურიგეს მემამულეებს მარტო 300 ან 400,000 მან., დანარჩენი ფული თვითონთ მოსამსახურეებმა უნდა გაიყონო. რომ ეს არ მოხდეს, თქვენი ფული სხვამ არ წაიღოს და თქვენ კი ცარიელები არ დარჩეთ, ამისთვის საჭიროა თქვენ ფხიზლად და მომზადებულად დახვედრა. ვინც კი მოვიდეს თქვენ მამულში მომუშავე არ გაუშვათ, სანამ არ მიიღებთ თქვენს დაკმაყოფილებას. საჭიროა მაშინვე დაისწროთ მოწმები, პოლიციის მოხელე და მისის თანადასწრებით ააწერინებთ დაყოლილს, როგორც მამულების რაოდენობას, აგრეთვე იმას, თუ რა ჰყვება რკინის-გზას-ვენახი, სახლი, ხეხილი, ჭირნახული და სხვ., რასაც მამულის გარდა ყველას თა ვისი ფასი აქვს.

რკინის გზა, რომ გაჰყავთ, იტანს მამულებს მარტო იმას კი არა რაზედაც ლიანდაგი აწყვია, არამედ მეტს, რამდენსაც მოითხოვს საჭიროება 10—100 საჟენამდე. ხშირად ხჭრის მამულს ორ იმ ნაირ ნაჭრად, რომ აღარც ერთი არ გამოდგება სახმარად. ამისთვის კანონია მოითხოვოთ აგრეთვე ამ უვარგისათ დარჩენილ მამულის ფასიც. კანონია მოსთხოვოთ რკინის გზის გამყვანს გააკეთოს ღობეები ლიანდაგის გარშემო.

კანონია აგრეთვე მამულები დაფასდეს არა შეხედვითო, არამედ მის შემოსავლიანობით; რა აქვს წმინდა შემოსავალი და ამის დაკვალად უნდა იყოს მამულის დაფასებაც, თქვენ კი ესენი არ იცით. რადგანაც კახეთის რკინის გზა გაჰყავს კერძო ბანკს და არა ხაზინას, ამისთვის უნდა მოსთხოვოთ ფული მამულებისა ამ თავითვე, რომ თუ ვინიცობაა შემდეგ რაიმე მიზეზით ვერ დაასრულოს, ჩვენი მამულები კი წაახდინოს, ჩვენ ეხლავე მივიღოთ დაკმაყოფილება და შემდეგ რაც უნდა დაემართოს, ეს ჩვენი საქმე აღარ არისო. ყველა ესენიც რომ სძლიოთ დ გადაახდევინოთ რასაც მოსთხოვთ, კიდევ საჭიროა ცოდნა, რომ თქვენ დაგაკმაყოფილებენ ფულით კი არა, აქციებით რაც რამდენიმე 0/00/0 ნაკლებია ღირებულებაზე.

ერთი სიტყვით მათ ბევრი რამ კიდევ სხვა განუმარტეს ხალხს და დაუმტკიცეს, რომ მათ, უცოდინარ ხალხს, არ შეუძლიანთ ამოდენი საქმეების გაძღოლა, წარმოება და სხვა. ამისთვის რამდენიმე კაცმა მოვიწვიეთ დიდი ხნის ნამყოფი აგენტად რკინის გზისა, მეტად დახელოვნებული ამ საქმეში კ. პ. ანდრეევი და დავაარსეთ კანტორა, რომლის მიზანიც არის დახმარება გაუწიოს უცოდინარს ხალხს, მისცეს მათ ღირებული ფასი და მუქთად არ ჩაუგდოს რ. აზ. ბანკს.

მიანდობთ თქვენ საქმეს ანდრეევს, რომელიც კარგად აწარმოებს მა'ს.

ყველა ხარჯს: თავისას, ნოტარიუსისას, მისვლა მოსვლისას და სხვას თვითონ ანდრეევი კისრულობს, მხოლოდ გასამრჯელოს ითხოვს 20 პროც. მთელ აღებულ ჯამიდან. რა თქმა უნდა ხალხის მხრივ მიცემული ხელწერილები კანონიერი უნდა იყოს

ხალხი შეეკითხა: ჩვენდამი მიცემულ ხელწერილებს თავად აზნაურობისადმი, მნიშვნელობა არ ექმნებაო?

ანდრეევმა უპასუხა: იმ ქაღალდებმა უკვე თავისი ძალა დაჰკარგაო რადგანაც გამყვანელი კ. რ. გზისა არის არა ქართვ. თავად-აზნაურობა, არამედ კერძო ბანკიო.

ხალხმა ბევრი ლაპარაკის შემდეგ გამოუცხადა: რადგანაც დღეს სრული ყრილობა არ შესდგა, შემდეგისთვის ერთად შევიყრებით მოვილაპარაკებთ, გადავცემთ ყველას თქვენს რჩევას, შევეკითხებით კიდევ მცოდნე პირებს და თქვენთანაც ისე დავიჭერთ საქმესო.

ამის შემდეგ ისინი გაემგზავრნენ ქვევით სოფლებისკენ და ავლენ თელავამდის.—

რადგანაც ეს საკითხი მეტად სერიოზულია, მით დაინტერესებულია მთელი კახეთი, მისი გადაწყვეტა—დაჭერა ვექილისა, ზემოხსენებულ პირობებით, თუ უარის თქმა, უცოდინარს ხალხს არ შეუძლიან, ამისთვის ვსთხოვთ ყველას, ვისაც კი გული შესტკივა ხალხისათვის, ვინც კი იცის რამე კახეთის რკინის გზის შესახებ, დაგვეხმაროს და მოგვცეს სრული გადაწყვეტილი პასუხი.

გ. ჯილაური.

ქუთაისის ავ-კარგი

კვლავ აირია მონასტერი, კვლავ დაიწყო გამოძიება იმის შესახებ თუ ვინ არის დამნაშავე: მთელი სასწავლებელი მოსწავლე ქალიშვილების სახით, თუ ამ სასწავლებლის გამგე ტიმჩენკო იაროშენკო? ამ უკანასკნელს, თურმე დავიწყებია, რომ ამ სასწავლებელში ქართველთა ქალები დიდ უმრავლესობას შეადგენენ და ყოველი შემთხვევით თურმე სარგებლობდა, რომ მოსწავლეთა ეროვნული გრძნობა შეელახა. ამ ნიადაგზე იმდენი უნარი გამოიჩინა, რომ არა თუ ქართველთა ქალები, რუსებიცკი აუშფოთებია და როცა ფიალა ავსებულა მთელ სასწავლებელს პროტესტი გამოუცხადებია ქ-ნი ტიმჩენკოს წინააღმდეგ.

ბავშვები დააწყნარეს იმით, რომ საქმის გამოძიება აღუთქვეს. გამოძიება უკვე სწარმოებს და ამავე დროს საზოგადოებაში ტრიალებს ხმა, საქმეს სხვა მიმართულება უნდა მისცენ, ქ-ნი ტიმჩენკო ყოვლად უმწიკვლო ადამიანათ დასახონ და მოსწავლენი—რასაკვირველია დამნაშავედ გამოიყვანონო. ამისთანა საქმე ახალი ამბავი არ არის. შორს რომ არ წავიდეთ შარშანდელი ამბავი იურკევსკის შესახებ ჯერ არავის მიჰვიწყებია. მაშინ ხომ დამტკიცდა ბრალდება მექრთამეობაში—უყურადღებოდ დასტოვეს, თვით იურკევსკი ძველებურად ფარფაშებს გიმნაზიაში, ხოლო 20 მოსწავლე სამაგალითოდ დასაჯეს. ნურავის გაუკვირდება, თუ ქალთა სასწავლებლის ისტორიაში დამნაშავენი აღმოჩნდებიან მოსწავლენი და ყოვლად უმწიკვლო—სასწავლებლის გამგე.

* * *

ოპერა იშვიათი ხილია ქუთაისში. ოპერა ჩვენცა გვწვევია ხან დახან, მაგრამ ისეთი მოუწყობელი, რომ მის გაგონებას უნახავობა სჯობდა. ამ მხრივ ბ. ბ. ევლახოვისა და შასტანის თაოსნობა წაბაძვის ღირსია. მათ შეუდგენიათ საოპერო დასი, რომელსაც განზრახვა აქვს პროვინციის ქალაქები დაიარონ და პირველად ჩვენ გვეწვიენ. გარდა თვით ევლახოვისა, დასში იღებენ მონაწილეობას ქ-ნი თარხნიშვილი, ქ-ნი შულგინასი, ბარიტონი სოკოლსკი და სხვანი. ორკესტრი საკმაოდ დიდია; აძნაირივეა ხორო, ისე, რომ ოპერას შეუძლიან ყოველის მხრივ დააკმაყოფილოს ქუთათური, ადგილების ფასი რომ უდიერი არ იყოს.

მთელი ინტერესი ქუთათური საზოგადოებისა ამ ტურნეში მიიპყრო ქ-ნმა თარხნიშვილმა. „ტრავიატაში“ ერთი კვირის წინად ბილეთები გაიყიდა, თვით წარმოდგენის დღეს 15 თებერვალს, თეატრი გაიჭედა. ბევრმა ადგილი რომ ვერ იშოვა, მთელი წარმოდგენა ფეხზე გაატარა იმდენად დიდია. ქ-ნი თარხნიშვილის მიმართ ყურადღება.

ამ მხრივ საზოგადოებამ 15 იანვარს სრული კმაყოფილება მიიღო. მისმა მომხიბლავმა, მოქნილმა ხმამ სავსებით მოაჯადოვა საზოგადოება, რომლის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. თეატრში ბევრი არა ქართველი იყო და ზოგიერთ მათგანს მუსიკის კარგ მცოდნეს დავეკითხე.

— დღევანდელმა საღამომ,—მითხრა ერთმა სერიოზულმა მუსიკოსმა,—სრული ესტეტიური სიამოვნება მაგრძნობინაო.

— თქვენ, ქართველები გატაცებული ხალხი ხართ და მეგონა, რომ პრესაში აღნიშნული აღტაცება ქ-ნი თარხნიშვილის ნიჭის შესახებ, თქვენი ტემპერამენტის შედეგიაო,—მითხრა მეორემ, მაგრამ სინამდვილემ დამანახვა, რომ ამ ჟამად თქვენი აღტაცება საფუძვლიანია და სრული უფლება გაქვთ იამაყოთ ქ-ნი თარხნიშვილის ნიჭით. მე ასე მაქვს გაგონილი, რომ იგი პირველ ნაბიჯსა სდგამს სცენაზე; თუ ეს მართალია, მაშინ დიდი მომავალი მოელის არტისტ ქალს, რომელიც ბუნებას უხვად დაუჯილდოვებია ნიჭით, რომელსაც ეჭვი არ არის მომავალში მეტად განავითარებს“.

ასეთია საყოველთაო აზრი ქ-ნი თარხნიშვილის შესახებ და მე, როგორც აქაური მემატიანე, სასიამოვნო მოვალეობად ვთვლი აღვნიშნო იგი.

სოხუმელთა შორის

სწორედ უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული ჩვენი თვითმართველობა: ვინ გინდა, რომ ამის უფლების შეკვეცას არ სცდილობდეს და ფეხქვეშ არ სთელდეს! „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ „გავიარე უჯოხოო“, სწორედ ჩვენზეა ზედ გამოჭრილი. ამ გზაზე სიარული არჩია **ქალაქის ექიმმა ბ. მოსტოვმაც**. ეს ვაჟბატონი ქალაქის თვითმართველობამ მოიწვია „გოროდსკოი“ ექიმად და, როგორც ასეთს, მას ებარა ქალაქის სანიტარულის მხრივ თვალ-ყურის გდებაცა. მაგრამ ბატონმა მოსტკოვმა სულ სხვა გზას მიჰმართა: ქალაქის გამგეობაში თხოვნა შეიტანა, „გოროდსკოი“ ექიმად დაამტკიცებინეთ ჩემი თავი, მე სამსახური ჩამეთვლება, პენსიასაც დავიმსახურებ, და თქვენ კი ამით არაფერს არა ჰკარგავთო“. ხმოსნებმა ასწონ დასწონეს ეს საქმე და უარი უთხრეს ბ. ექიმს. ამ უკანასკნელმა მიუხედავად ამისა მაინც მიაღწია საწადელს: როგორ და რა გზით, ეს მხოლოდ ალლახმა უწყის და გამგეობის ზოგიერთმა წევრმა. და ერთს მშვენიერს დღეს ქალაქის თვითმმართველობას გამოუცხადა: „მე უკვე ჩინოვნიკი ვარ და არავითარი საქმე არა მაქვს ქალაქთან, გარდა ჯამაგირის მიღებისაო. როგორც გინდათ ისე უპატრონეთ თავსაო“. ასტყდა ორომტრიალი: „როგორ? ჩვენ ვაძლიოთ ჯამაგირი და სხვას ემსახუროსო? ვინ მოგვიწყო ასეთი მახეო?“ იღრიალეს ხმოსნებმა და პასუხი მოსთხოვეს გამგეობის წევრს ბ. მაჰავარიანს. ამან დაარწმუნა ხმოსნები: „სუ, გაჩუმდით ჩვენ ექიმს კონტრ-მახეს უგებთო!“ მახისა რა მოგახსენოთ, და ბატონი მოსტოკოვი ქალაქისაგან ჯამაგირს იღებს და კონტროლი კი აიცილა თავიდან! ცოდვა გამჟღავნებული სჯობია: ორივე მხარე მოგებულია: ქალაქი ექიმს ჯამაგირს აძლევს და სამუშაოსაგან კი განთავისუფლა, ხოლო ამით თავის თვიც გაანთავისუფლა ზედ-მეტ შრომისაგან—ექიმის მოქმედებაზე თვალ-ყურის გდებისაგან. ხოლო თუ ვინმემ წააგო, ისევ ქალაქის მცხოვრებლებმა. როგორც ქალაქის ამბულატორიის ანგარიშიდან სჩანს, 1911 წლის უკანასკნელ 7 თვის განმავლობაში გამოცხადებულა ამბულატორიაში 103 სიფილიტიკი, როგორც ექიმები უწოდებენ, „პირველი ჩინისა“, სულ ვენერიული ავადმყოფობით შეპყრობილი 305 ადამიანი! ეხლა ისიც მიიღეთ მხედველობაში, რომ ქალაქს ამათთვის არა აქვს საავადმყოფო, და მაშინ ცხადად დაინახავთ, თუ რა საშიშ წყაროს წარმოადგენენ ეს 305 კაცი სოხუმელთათვის. ძალიან კარგს იზამს ქ. გამგეობა, თუ დაუთმობს ამ ბედკრულთ ორიოდე ოთახს საიზოლაციო და საიფენქციო ბარაკებში.

რადგანაც ამ ბარაკებზე სიტყვა ჩამოვარდა, მათ საგულისხმო ისტორიას ცოტათი მაინც გავაცნობთ. შეუდგა თუ არა ქალაქი ამ ბარაკების აშენებას თავისს საკუთარ ადგილზე, მაშინვე აფრინეს თხოვნები კავკასიის უმაღლეს მთავრობასთან, არიქათ, გვიშველეთ, თორემ ქვეყნიერება გადატრიალდებაო! ერთი გამოძიება, მუშაობის შეჩერება და სხვა და სხვა. თვითმართველობის საბედნიეროდ უსასტიკესმა გამოძიებამ ვერავითარი კრამოლა ვერ აღმოაჩინა და მგონი ამ ბარაკებს მოკლე დროში ვეღირსოთ. სულ ეს ვიღაც „ტუზემცებია“, იმათი ბრალია: ამათგან ჭეშმარიტ-რუსებს მოსვენება არა აქვს და მათდა სამწუხაროდ ჯერ ხნობით ტუზემცი, მაინც არ აპირობს ცხოვრების გზიდან გაცლას და დათმობას.

ხოხო.

წერილი პარიზიდან

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

საფრანგეთის მომავალი საჰაეროსნო ესკადრა.

ამ დღეებში საფრანგეთის სენატი ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას შეუდგა; გუშინ 13 თებერვალს (ახ. სტ.) ამ საგანზე მოხდა კამათი: საინტერესო კამათი გამოიწვია სამხედრო ავიაციის საკითხმა, სადაც სამხედრო მინისტრ მილლერანმა ავიაციის დიდებული მომავალი დაუხატა სენატს; მიუხედავად იმისა, რომ საფინანსო კომისიამ მხოლოდ 12 მილიონი ფრანკი არგუნა სამხედრო ხარჯთაღრიცხვას 1912 წელს, მილლერანის სიტყვის შემდეგ სენატმა 25 მილიონიც ერთხმად გადასდო. მილლერანმა მადლობა გადაუხადა სენატს, რომ მან გაიგო და გაითვალისწინა ის ჰაეროსნობის მნიშვნელობა კოლოსარული, რომელიც ანვითარებს ერის შემოქმედობას და გამბედაობას. მშვენიერ სიტყვაში მინისტრი ამტკიცებდა, რომ სამხედრო ავიაცია მოუსყიდველი უნდა იყოს. „ავიცია არც არტილერიას ეკუთვნის და არც ქვეითა ჯარს, ავიაცია ეკუთნის ჯერ ხალხს და შემდეგ საზოგადოდ ჯარს“.

შემდეგ განმარტა, რომ ავიცია უნდა გახდეს მეხუთე იარაღად და ამ იარაღის მტარებელნი კი უნდა შეადგენდნენ სრულებით ცალკე, სპეციალურ ჯარს. ჰაეროპლანების შემდეგ ის შეეხო დირიჟაბლებს და ათასნაირი საბუთებით დაამტკიცა მათი სარგებლობა და აუცილებლობა ომისთვის. მოგვყავს დაახლოვებით მისი სიტყვები: „იყო დრო, როდესაც სამხედრო სამინისტრო ყურადღებას არ აქცევდა დირიჟაბლებს; მაგრამ დღეს მათ შეუძლიანთ დიდი სამსახური გაგვიწონ მობილიზაციის დასაწყისში. ჩვენ ავაშენებთ 15 საჰაეროსნო კრეისერს და ძველი ტიპების დირიჟაბლებს განვაახლებთ; მხოლოდ განსაკუთრებითს ყურადღებას მივაქცევთ ავიაციას. სამხედრო ავიაციის ერთეულად ჩაითვლება ერთი ესკადრა 8 ავიონით (სამხედრო ჰაეროპლანი), რომელიც სამად განაწილდება: ერთადგილიანი, ორადგილიანი, მრავალადგილიანი. თითო ესკადრას უნდა ჰქონდეს თერთმეტი ანუ თორმეტი ავტომობილი. დღეიდან ავაშენებთ 13 ესკადრას 208 ავიონით“.

მილლერანის გეგმით, რომელიც უკვე მიიღო და დაამტკიცა სენატმა, ამ წლის დამლევს საფრანგეთს ეყოლება 27 სამარი ესკადრა და 5 მომსვლისათვის მთელს ესკადრაში იქნება 344 საფრენი.

ზედმეტად არ მიგვაჩნია მკითხველს დაწვრილებით გავაცნოთ მილლერანის გეგმა, მისივე სიტყვებით: თითო ესკადრაში იქნება 7 პილოტი (მფრინავი), აფიცრები და ჯარისკაცნი საერთოდ ჩვენ გვეყოლება 234 პილოტ-აფიცერი, 210 მზვერავი, 42 მექანიკი, 110 უმცროსი აფიცრები, 1,600 საპიორი და 550 არა სპეციალისტ ჯარის კაცი. მთელ საფრანგეთის მხედრობიდან ავირჩევთ საჰაეროსნო ჯარს (ხმები დიდებულია!) ეს არის უმთავრესი პრინციპი. ეს ხალხი რომ ერთმანეთს დაუკავშიროთ, ჩვენ უნდა შევადგინოთ ახალი საჰაეროსნო ჯარი. პილოტებს სწავლა ექნება დამთავრებული, როგორც სამოქალაქო სასწავლებლებში ისე სპეციალურ საჰერსნო სკოლებში; აი, ამ არჩეულ პირთ უნდა მივანიჭოთ უპირატესობა; პილოტებს და მოწაფე—პილოტებს დაჯილდოების მოთხოვნის უფლება ეძლევათ. მათ ჭრილობას ჩვენ ისე დავაფასებთ, როგორც ომში მიღებულ ჭრილობას (ხმები დიდებულია!) აი ის გეგმა, რომელიც ჩვენ უნდა განვახორციელოთ. ჩვენი ავიატორების სიმამაცე მშვიდობიანობის დროს, ნათლად გვიმტკიცებს იმ მომავალ გმირობას, რომელსაც ომის დროს დაგვანახვებენ“. (საერთო ხანგრძლივი ტაშის ცემა).

მილლერანის შემდეგ რეიმონი ლაპარაკობს, რომელიც პესიმისტურად უყურებს ავიაციას; მისი აზრით 208 ავიონიდან, ომის დროს მხოლოდ 100 შეუძლია სარგებლობის მოტანა. ამავე დროს ის სრულებით ეთანხმება მილლერანის გეგმას, მხოლოდ მისის აზრით პილოტებისა და ოფიცერ ავიატორების საკმაო რიცხვს ვერ იშოვის მთავრობა.

რეიმონის შემდეგ ილაპარაკა მონზა, რომელიც ზოგიერთ კითხვებში მილლერანს გამოეკამათა.

მილლერანის გეგმას კიდევ წაეკამათნენ ჟერვე, რუბი, ლეიგიუ და შაპუი, მაგრამ ხმის უმეტესობით ეს გეგმა მიიღო სენატმა და დაამტკიცა.

11 მილიონი გადაიდო მასალებისათვის, 1 მილიონი პილოტთა ჯამაგირად, 5 მილიონი—ჰაეროსტაციისთვის; 5 დირიჟაბლი და 5 ანგარისთვის (დირიჟაბლების შესანახი შენობა) დასჭირდებათ 3 მილიონი. ასე რომ ჰაეროსნობა თანდათან ჰკარგავს სპორტის ხასიათს და ღებულობს ცხოვრებაში ნამდვილ გამოსაყენებელ მეცნიერების სახეს; დღეს მთელს საფრანგეთის ხალხს და მთავრობას ჰაეროსნობა მიაჩნია, ერთ საუკეთესო სამშობლოს დასაცავ იარაღად და ალბად სხვა სახელმწიფოებიც მალე აღიარებენ ამას. ასე რომ ამ საკითხშიაც პიონერად ისევ საფრანგეთი გამოდის.

ა-შ-ლი.

მოწერილი ამბები

სოფ. ნინოწმინდა. 12 თებერვალს ღამის 6—7 საათზე ბოროტ-მოქმედებმა **მოჰკლეს ნინოწმინდის მამასახლისი ვანო ასრათაშვილი.** მკვლელობა ესე მოხდა: სამი შეიარაღებული უცნობი შევარდნილა მამასახლისის სახლში, დაუწყვიათ ჩხრეკა ამ სიტყვებით: სად არის მამასახლისი ვანო, სადა გაქვთ იარაღი... ბოძიდამ ჩამოუღიათ თოფი ბერდანის სისტემისა და ხანჯალი, კიდევ გაქვთ სხვა იარაღიც—ჩქარა მოგვეცითო... როდესაც მამასახლისის ცოლს შეუფიცნია ჩვენ ამაზე მეტი არა გვაქვს-რაო, ავაზაკები გამოსულან გარეთ, გადაურაზნიათ კარები და წასულან სოფლის კანცელარიისაკენ, რომელიც მდებარეობს ასი ნაბიჯის მანძილზე მამასახლისის სახლიდან. კანცელარიიდამ გარედ გამოუხმიათ მამასახლისი, წელიდამ ხანჯალი აუტაცნიათ და შემდგომ რამდენჯერმე დაუხლიათ მაუზერები თავში, გულში და საცოდავი იქვე ხმა-ამოუღებლივ მაშინვე მოუკლავთ. მერმე გახეცებულები თოფის სროლით გამგზავრებულან შარა გზისაკენ, თითქოს დიდი ვაჟკაცობა ჩავიდინეთო. მკვლელობა ისე სწრაფად მოხდა, რომ მიშველება ვერავინ მოასწრო, თუმცა იმ დროს კანცელარიაში ათი—თორმეტი კაცი ყოფილა. ან რას გააწყობდნენ უიარაღონი გახეცებულ შეიარაღებულებთან?! ვისთვის, ან რისთვის მოჰკლეს საცოდავი? ეს ყველასთვის გაუგებელი დარჩა. ვანო ასრათაშვილი ერთი უკეთესთაგანი გლეხი იყო ჩვენ სოფელში; თავისი გულ-კეთილობით და მშვიდობიანი ხასიათით ყველასაგან პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული. იგი ყველა მეკომურს თავის თანასწორედ უყურებდა, არ აგრძნობინებდა რომ მას უფლება აქვს ხელში და არას დროს არ მიჰმართავდა ხოლმე ძალ-მომრეობას; თავის „მე“-ს ყოველთვის უმორჩილებდა სოფლის საზოგადოების ყრილობის სურვილს. მისი თაოსნობით ბევრი კეთილი საქმე გაკეთებულა ჩვენ სოფელში. სხვათა შორის წყლის გამოყვანაშიაც დიდი ღვაწლი მიუძღვის. როდესაც ჩვენ ხალხს არ ეხალისებოდა წყლის გამოყვანა, მუშაობას თავს არიდებდა და ჩვენი ინჟინერი გ. ზ. ქურდიანი გვიცდებოდა, ამისთანა შემთხვევის დროს ვანო ნაცვალი (მაშინ ნაცვლად იყო) თავისი გონივრული რჩევით ხალხს გულს უკეთებდა, ახალისებდა... „კაცო, თუ სხვისა საქმეს ვაკეთებთ, სხვისა ბეგარას ვასრულებთ, ერთხელ ჩვენი საკუთარი საქმეც გავაკეთოთო“. მოძრაობის დროს რაც კარგი რამ ითქვა ადვილად შეითვისა და არ დაკნინდა, როგორც ზოგიერთები, რომელნიც მძარცველ გუნდებათ გადაიქცნენ. საცოდავს დარჩა ცოლი და ოთხი შვილი (სულ უფროსი იმათში რვა წლისა) სრულიად უსახსროდ. როგორც ხმა დადის სოფ. ხაშმზე დაუპატიმრებიათ მამასახლისის მკვლელნიო.

წელს ჩვენსკენ სრულიად არ იყო პურის მოსავალი და ღვინოც ძლიერ ცოტა მოვიდა. თუ დღევანდლამდის იოლად წავიდა ხალხი სიმინდის წყალობით, მარტ-აპრილიდამ ფქვილს ტფილისიდამ უნდა დაუწყოთ ზიდვა. თუმცა ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში ვართ, არც ერთმა აქაურმა ინტელიგენტმა არ ჩასთვალა საჭიროდ გაზეთისათვის ცნობა მიეწვდინა ჩვენს მდგომარეობაზე, თითქოს განათლებული მღვდლებიცა გვყავს და მასწავლებლები ზოგ სოფელში ოთხი ხუთი. თუ განვითარებულად არ შეგვიძლიან წერა,— ცნობის მიწვდენა გაზეთისათვის მაინც ყველას შეუძლიან. ჩვენ გასამართლებლად მარტო იმას თუ ვიტყვით, რომ ფოსტაზე დაშორებულები ვართ და გაზეთებს ვერ ვიღებთ თავის დროზე. მართალია დილიჟნები ყოველ დღე დადის ტფილისს — და საგარეჯოს შუა, მაგრამ გაზეთები მაინც გვეკარგება, რის გამოც ზოგიერთებმა კიდეც მივატოვეთ მისი გამოწერა. ყველას დიდი იმედი გვაქვს კახეთის რკინის გზისა. ზოგი გამდიდრებას ელის, ზოგი სამუშაოს შოვნას, ზოგი უტანჯველ მოგზაურობას... კახეთის რკინის გზა, ცხადია განათლების ცენტრებთან დაგვაახლოებს და სოფლის ცხოვრებასაც მეტი სიცოცხლე დაეტყობა.

ა.

ჩინეთის რესპუბლიკა

დეპეშები.

ლონდონი. ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა და ამერიკის ფინანსისტებს სესხის თაობაზე ჩინეთის მთავრობასთან მოლაპარაკება აქვთ.

მუკდენი. გენერალ-გუბერნატორმა მცხოვრებლებს გამოუცხადა, კაიუანსა, თელინსა და მანჯურიის სხვა და სხვა ადგილას გაჩენილი რევოლუციონერები, ნამდვილად უბრალო ყაჩაღები არიანო. იუანშიკაის სახელით იგი აცხადებს, უწყალოდ მოვექცევით და შეუბრალებლად დავხოცთო მათაო. იაპონიის კონსულმა გენერალ-გუბერნატორს მოსთხოვა პასუხი, ებენსიხუში ჩინეთის პოლიციის მიერ ათ იაპონელის მოკვლის გამო.

ხარბინი. ციციკარის გუბერნატორმა ხუნხუზთა ბრბო და მისი ბელადი თიანბენი სახელმწიფო სამსახურში მიიღო და რაზმი შეადგინა.

ვაშინგტონი. ნოქსის ნოტას თაობაზე, რომელიც ჩინეთში შეთანხმებულად მოქმედებას მოითხოვდა, დამადასტურებელი პასუხი მიიღო ინგლისისა და იაპონიისაგან.

კულჯა. გენერალ იანტულიანის რაზმიდან 500 მხედარი გაიქცა თავის უფროსიანად. რევოლუციონერთა ჯარმა ტოლკინის ხეობისაკენ დაიხია. შეიძლება ურუმცის გუბერნატორი მოვიდეს თავის ჯარით, რადგანაც ილიის მხრის რევოლუციას იგი ამბოხებადა სთვლის და მისი ჩაქრობა უნდა. ჩინელებსა, ქუბეოლებსა და ქუნალელებში რაღაც აღელვებაა.

პეკინი. წუხელის რვა საათზე აჯანყდა იუანშიკაის ჯარის მესამე დივიზიის ორი პოლკი. მიზეზი აჯანყებისა — ჯამაგირის შემცირებაა. ჯარი რამდენსამე ჯგუფად დაიყო და ქალაქის ძარცვასა და წვა-ბუქვას მიჰყო ხელი. ქალაქი შიშმა მოიცვა. ბევრგან ცეცხლი გაჩნდა. ყველგან სროლა, ყვირილი ასტყდა. ცეცხლი და ძლიერი სროლა განსაკუთრებით იუანშიკაის სასახლესთან იყო. სასახლესთან დუქნების უმრავლესობა მთლად გადაიწვა, ძარცვა-გლეჯა დილამდე არ შეწყვეტილა. გაძარცვეს ყველა ბანკი, ლომბარდი, ძვირფასეულობის მაღაზიები. ვაჭრები ძალიან დაზარალდნენ. მდგომარეობა გამოურკვეველია. შეიძლება არეულობა განმეორდეს. უცხოელთა დამცველი რაზმები ქუჩებში დგანან და უცხოელების უბნის გზებს იცავენ. მეამბოხეთა უმრავლესობამ რიჟრაჟზე სადგურ ფინდაისკენ მიაშურა. ამბობენ, იქაც ძარცვა-გლეჯააო.

მაიძა'ენი. მონგოლეთის მთავრობამ ჩინელთა საქონელი ასწერა, მათთვის გადასახადის დასადებად.

ოსმალეთ-იტალიის ომი

რომი. „ტრიბუნა“ სწერს სახელმწიფოთა მოლაპარაკების თაობაზე, იტალიას ჯერ არ გასჭირვებია, ომის გათავებას არა ჩქარობს და ძველებურის ენერგიით განაგრძობს ბრძოლასაო.

ამბობენ სამთა კავშირის სახელმწიფოები იმიტომ მიეგებნენ სიხარულით საზონოვის წინადადებას, რომ გაზეთები სწერდნენ, ავსტრიისა და გერმანიის საქციელი გვიკვირსო და თანაც რუსეთსა და სამთა შეთანხმების სახელმწიფოთ თანაგრძნობას უცხადებდნენ.

ბერლინი. აქ ამბობენ, ტყუილია, ვითომ საზონოვის წინადადების შუამავლობის თაობაზე გერმანია ისეთის სიხარულით არ შეხვდა, როგორც ინგლისი და საფრანგეთიო. გერმანიამა და ავსტრია-უნგრეთმა მოიწონეს წინადადება. ეს ამბავი რომში მყოფ გერმანიის კონსულსაც აცნობეს და დასძინეს: შესაფერ განკარგულებას დაუცადეო. სცდილობენ გამოარკვიონ, რა პირობებითა ჰსურს იტალიას ზავის ჩამოგდება.

სტამბოლი. გაზეთები დაჟინებით მოითხოვენ იტალიასთან ომის გაგრძელებას და ამბობენ, ევროპას ნება არა აქვს მტერთან ბრძოლა დაგვიშალოსო. ომი არ გათავდება, ვიდრე ტრიპოლისში ერთი იტალიელი მაინც იქნებაო.

რომი. „სტეფანის სააგენტომ“ მერგების აღების დაწვრილებითი ცნობები გამოაქვეყნა. იტალიელთა ჯარის სამი რაზმი ოსმალებს მოულოდნელად დასცემია, ხელჩართულ ბრძოლაში არაბთა და იტალიელთა ჯარის უფროსები დახოცეს. მერგების აღების შემდეგ 6000 ოსმალო ქალაქს მოადგა. დაიწყო ბრძოლა. რამაც რამდენსამე საათს გასტანა, ოსმალებს 500 კაცი მოუკლეს და აუარებელი დაუჭრეს. იტალიელებს 14 მოუკლეს, ამათში 2 აფიცერი და 100 დაუჭრეს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარეთ.

18 თებერვალი.

ინგლისის გაფიცვა.

ლონდონი. მაღაროების პატრონთა სათათბირო კომიტეტის ზოგიერთი წევრი ასკვიტთან იყო. უნახშირობის გამო გლაზგოში 50 გემია გაჩერებული. მუშებმა ხელფასის მინიმუმის საკითხის გადაწყვეტა აღმასრულებელ კომიტეტს მიანდეს და თანაც დასძინეს, მოლაპარაკება განაგრძეთ, თუ საჭირო იქნება, კონფერენციაც მოვიწვიოთო.

ლიბერალთა გაზეთები იუწყებიან, სამინისტრომ მაღაროების მუშათა ხელფასის მინიმუმის თაობაზე კანონ-პროექტი შეიმუშავა და ამ ორ კვირაში დასამტკიცებლად პარლამენტს წარუდგენსო.

ოფიციალურად იუწყებიან: ასკვიტმა მუშათა კონფერენციას გამოუცხადა, თუ ხელფასის მნიმუმის შემოღება მშვიდობიანის გზით ვერ მოვახერხეთ, სხვა საშუალებას მიჰმართავს მთავრობაო. საერთო კეთილდღეობისათვის საჭიროა ქვანახშირის მრეწველობის მტკიცე ნიადაგზე დაყენება. პრემიერი ყველას ურჩევს, მუშებს დრო მიეცით მოსაფიქრებლადაო. მორიგების იმედი აქვთ, რადგანაც ხმა გავრცელდა, მაღაროების პატრონები დასთანხმდნენ ხელფასის მინიმუმის შემოღების უზრუნველყოფასაო.

ჯარს ნაბრძანები აქვს, მზად იყავით. 775 მხედარი და 2500 ქვეითა ჯარისკაცი მოაგროვეს. სარკინისგზო საზოგადოებათა ჯარის სწრაფად გადაყვან-გადმოსაყვანად განსაკუთრებული მატარებლები მიუჩინეს. საქმე ცუდათაა. სანოვაგე ძალიან გაძვირდა. მუშათა და დამქირავებელთა თათბირი მომავალ კვირისთვის გადასდეს.

საზოგადოებათა პალატაში სხდომის დასასრულს ასკვიტმა სთქვა, დღეს მთავრობა მოელაპარაკა მუშებსა და მათს დამქირავებლებსაო. ამ კვირას გამოირკვა, რომ ინგლისის და უელსის ჩრდილოეთის მაღაროების პატრონებმა ფაქტიურად უკვე მიიღეს მთავრობის პირობები. ჩრდილო უელსელებსა და შოტლანდიელებს ვერ მიუღიათ მთავრობის პირობები. მთავრობის პირობები უარჰყვეს მუშებმაც, რადგანაც 20 იანვარს მაღაროების მუშათა ფედერაციის გადაწყვეტილ მინიმუმის გადასინჯვას დამქირავებელთ ვერ ვანდობთო.

ჰამბურგი. ინგლისის ქვანახშირის მუშათა გაფიცვამ გემთა მიმოსვლაზე იმოქმედა. ნახშირის ფასმა ერთი ორად იმატა, ინგლისიდან 22 გემი უნდა მოსულიყო, მაგრამ ვერ მოსულა.

ისსა ბოლეტინაცი.

სტამბოლი. ალბანელების შარშანდელ აჯანყების ბელადმა ისსა ბოლეტინაცმა მიტროვიცში ოსმალეთის პარლამენტის სადეპუტატო კანდიტატად დაასახელა თავისი თავი.

ოსმალეთის განზრახვა.

სტამბოლი. ვაჭრობის მინისტრმა მრეწველთა ექსპედიციას განუცხადა, ეხლა კაი დროა, რუსეთ-ოსმალეთის სავაჭრო ხელშეკრულება გადავშინჯოთო.

კლერიკალთა სურვილი.

ლუბლიანი. გორიცში სლოვენელთა კლერიკალების ბელადმა შუსტერშიჩმა სიტყვა წამოსთქვა და რუსეთთან დაახლოების სარგებლობა აღნიშნა, ბალკანეთის საკითხის გამო რუსეთთან დაახლოვება ევროპის მშვიდობიანობას დაიცავს და ავსტრია-უნგრეთის იტალიის მოთხოვნილებისაგან გაანთავისუფლებსო.

საფრანგეთის პალატა.

პარიზი. დეპუტატთა პალატას მსჯელობა ჰქონდა მემარჯვენე დეპუტატის პიუს წინადათების თაობაზე. იგი ამბობს, საჭიროა გადავსინჯოთ კონსტიტუციის ის მუხლი, რომელიც პრეზიდენტს უფლებას ანიჭებს უცხო სახელმწიფოებთან ხელშეკრულების დადებისასაო. პიუ აღნიშნავს, უკანასკნელ დროების საიდუმლო ხელშეკრულებანი იყო მიზეზი გარეშე პოლიტიკის კრიზისისაო. საჭიროა სენატორებისა და დეპუტატების საბჭოს მოწვევა ხელშეკრულებათა განსახილველადაო. პუანკარემ უპასუხა პიუს, შეუძლებელია მთავრობას საიდუმლო ხელშეკრულებათა დადების უფლება წავართვათ, რადგანაც საფრანგეთს საშუალება ველარ ექნება საჭირო კონვენციათა დასადებადაო. პიუს წინადადება უარჰყვეს 372 ხმით 146 წინააღმდეგ.

ურმია. ოსმალთა. მიერ აღებულ სოფლების მცხოვრებლებმა რუსეთის საკონსულოს შეაფარეს თავი. მათ აზრადა აქვს პროტესტი განაცხადონ ოსმალთა ოკუპაციის წინააღმდეგ.

რუსეთი

მიწის ძვრა.

პიატიგორსკი. 16 თებერვალს ღამით მიწა იძრა.

ვერნი. გათენებისას ნიადაგის ძლიერი რყევა შევამჩნიეთ.

ალექსანდროვსკის საქმე.

ხარკოვი. ალექსანდროვსკის საქმის გამო აგრონომ ვოლინსკის 8 წლის საპატიმრო განყოფილება მიუსაჯეს, კონსისტორიის მდივანს ორლოვს $2\frac{1}{2}$ წელიწად ნახევრისა, ბლაღოჩინ მატვეევს ერთის წლით ციხე, მთავრობის მარკშეიდერს სუტულოვს ოთხის თვის ციხე. მღვდელი გრიგორევიჩი და ორლოვი გაამართლეს.

თეატრი და ხელოვნება

პარასკევს, 17 თებერვალს **სახალხო სახლში** ქართულ სექციის რეჟისორის **წუწუნავას საბენეფისოდ** წარმოადგინეს **ს. შანშიაშვილის** სამ მოქმედებიანი დრამა **„მორევში“ და ფოცხვერაშვილის „აშენდა საქართველო“**. ბ-ნი შანშიაშვილის დრამა თავის დროზე იყო გარჩეული და ღირსეულადაც. ამისათვის მისი შინაარსის გადმოცემას არ შეუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ **მესხიშვილმა,** როგორც მოსალოდნელი იყო, თვით სიყალბეზე აშენებულ დრამის ღერძს კოტეს რაღაც სინამდვილის სული შთაბერა, რითაც მაყურებლები მოხიბლა და ბევრს ცრემლი აღინა და გული აუყუჩა. დანარჩენებიც ანსამბლს ხელს უწყობდა, ერთი სიტყვით რეჟისორს **წუწუნავას** სჩანს, რო+ ჩვეულებრივი სიბეჯითე არ დაუკლია. ამ ყალბის დრამის გადმოღებას მეტადრე ხელს უწყობდა დიდებული თვალწარმტაცი დეკორაციები ნამდვილი სურათები გურიის ცხოვრებიდან. მეტად მომხიბვლელ-მომაჯადოებელი იყო სურათი ტყეში...

საზოგადოდ დრამით კმაყოფილი და რეჟისორის პატივსაცემლად მოსული დიდძალი საზოგადოება „აშენდა საქართველოით“ დიდათ დაალონა, ბევრი კიდეც ნანობდა რატომ ამის მოსვლამდე შინ არ წაველ და ძილს მოვცდიო. ეს სცენის მოყვარეების ბრალი არ იყო, პირ-იქით პიესა მწყობრად ჩაატარეს, მხოლოდ თუ საზოგადოებას არ მოეწონა თვითონ პიესა. მობენეფისე მრავალჯერ გამოიწვიეს და საჩუქრებიც მიართვეს.

სტუმარი.

დღეს **ბირჟის დარბაზში** წარმოდგენილი იქნება ქართულად 1) ბატონი და ყმა“, 2) „პრიკაშჩიკი შკაპში“ და 3) დივერტისმენტი.

სახალხო სახლი. 20 თებერვალს წარმოდგენილ იქნება ანტონოვის მხიარული კომედია: „მზის დაბნელება საქართველოში“.

წერილი რედ. მიმართ

მ. ხ. შ. რედაქტორო! წარსულ ზაფხულს, სოფელ ქვიშხეთიდან ფოჩტით გამოუგზავნე გაზეთ „სინათლის“ რედაქციას, როცა ეს გაზეთი ივანე როსტომაშვილის ხელიდან „ამხანაგობის“ ხელში გადავიდა, ბ. სოფრომ მგალობლიშვილის სახელზედ ჩემი მოკლე ესკიზი „ხიფათი“ და რომ აღარც გაზეთი მომივიდა და ჩემი ხელნაწერისა ველარა გავიგე რა, წერილით შევეკითხე რედაქციას.

ამაზედ ბ. დიმიტრი დუმბაძისაგან მომივიდა პასუხი: „მგალობლიშვილი თბილისს არ არის, „სინათლე“ არ გამოდის, თქვენი ხელნაწერი მე მაქვს და თავის დროზედ დავბეჭდავთო“.

ამ ზამთარს ჩამოვედი თუ არა თბილისს შევეკითხე ბ. დიმიტრი დუმბაძეს ამ ჩემს „ხელნაწერზე და მითხრა: „სოფრომს აქვსო“.

სოფრომს ვჰკითხე—„ია ეკალაძეს უნდა ჰქონდესო“. იასა ვჰკითხე—“აბა, თომა ნასიძესა ჰკითხეო“. თომასა ვჰკითხე —„ივანე როსტომაშვილთან იქნებაო“.

გუშინ, როგორც იქნა, როსტომაშვილი შემხვდა ქუჩაში და მითხრა —„არა ვიცი რაო“.

ბოდიშს ვიხდი თქვენთან ბ. რედაქტორო და გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით მომცეთ ნება ვკითხო ამ ხუთს, ჩემს კარგს მეგობართ და დიდად პატივცემულ პირთ: რა უყვეს ჩემი თხზულება ⁊ რადგანაც არა აქვსთ გაზეთი—ჩემი ხელნაწერი „ხიფათი“ დამიბრუნონ. ვადას ვაძლევ მარტის 1 რიცხვამდის.

ასეთი ხიფათი კი დაემართა ჯერჯერობით ჩემს „ხიფათს“.

დავშთები პატივისცემით

კოტე ყიფიანი.

17, თებერვალს 1912, ქ. თფილისი.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., სად. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. სად. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—III კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. [illegible] წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 8 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ხ, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. სად. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის სად. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან;) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. სად. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, [illegible]—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 4 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1 გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

განცხადებანი

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“—11—12 ს. შეზაპუნება კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: $9\frac{1}{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
კბილის საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
ი. ა. ფრანკი: 5—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.18)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა,
გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე. ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.**
(თ. 1646.23)

გემო
საზოგადოდ ზაფხულობით ტფილისში პურის კვასის დიდი მოთხოვნილებაა. თუ ის კარგი ღირსებისაა და ნადუღი წყლით არის დამზადებული მასთან დასალევათაც სასიამოვნოა. ამ მხრით სხვა კვასებთან შედარებით პირველი ადგილი უჭირავს, **კვას „გემოს“**. გემო შემოწმებული და მოწონებულია. ქალაქის საქიმიო ლაბორატორიისაგან. და ზაფხულობით, **გემოს** გასავალი დღეში რამოდენიმე ათას ბოთლამდე აღწევს. ამ ორი წლის (1910 წლიდან) გამოცდილებამ დამანახვა, რომ კვასის დამზადების გაუმჯობესება შეიძლება როგორც სურნელებითა და გემოთი ისე ბოთლებში ჩამოსხმულის დიდი ხნის გამძლეობითაც, რითაც შესაძლებელია ზამთარზაფხულ კვასითაც წარმოება რადგანაც გაზაფხული მოახლოებულია და საქმის დაწყებაც სიჩქარეს ითხოვს, და მასთანაც ეს საქმე თუ ვინმეს აინტერესებს **მხოლოდ ერთ პირს ვთხოვ შემოვიდეს ჩემთან ამხანაგად,** იმ განძრახვით რომ საქმეს რიგიანათ წავიყვანთ და ნამდვილ წარმოების ხასიათს მივცემთ. პირობების გაგება და მოლაპარაკება შეიძლება შემდეგ ადგილებზე: 1) ჩვენთან, ვეძინის ქუჩა № 28 და სერგო კახეთელიძესთან 2) სასადილო „ეკონომია-ში“ „ტფილისის ფურცლის“ რედაქციის პირდაპირ.
კვას „გემოს“ ერთად ერთი მოხელე და პატრონი
(4—1096—4) **მათე გორგილაძე.**

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
მიხეილის ქუჩ. № [illegible]
[illegible]
იღებენ ავადმყოფთ:
ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.
ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.
კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.
მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ სათ.
ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური-განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.
წამლობა „606“-ით.
(100—1615—25)

„ს.-პეტერბურგის საქიმიო
ლაბორატორია“.
1890 წ. დაარსებული.
ოქროს მედალი პარიზისა 1900 წ.
„საპონი გაშლილი ია“

ХИМИЧЕСКАЯ
С.-ПЕТЕРБУРГСКАЯ
ЛАБОРАТОРІЯ

გლიცერინის საპონი
„გაშლილი ია“
ახალმოგლეჯილ იის სუნის სრულ შთაბეჭდილებას სტოვებს: აქვს უხვად გამაგრილებელი ქაფი და კანსაც სინაზეს აძლევს.
მთავარი საწყობი: ტფილის-, საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა,
(13—293—8)

გაუფრთხილდით სიყალბეს!
პროვიზორ
გ. ფ. იუგენსის
ბორნო-ტიმოლის
საპონი
ოფლისა, მზის ნამწვისა, ძიძიბებისა, მელასი და ჭორფლის წინააღმდეგ **კეთი-სუნელოვანი ხელის საპონი უმაღლესის ღირსებისა,**
ყველგან ისყიდება.
½ ნაჭერი 50 კ. ½ ნაჭერი 5[illegible] კ.
Метцль. 5215. (18.1178.11)
ოქროს მედალი, 1892 წ. ლონდონში
მთავარი საწყობი [illegible]

გაყიდულია ორ მილიონზე მეტი განკა.
სინორჩესა
და სილამაზეს
აძლევს
ყოველგვარ
ქალის
სახეს
კრემი
მეტომორფოზა



ძირიანად სპობს ფერიმკვალსა, ჭორფლს, ნაოჭებს, მზის ნამწვს და სახის სხვა ნაკლულევანებას.
Метцль 11.273. (2—1112—1)
[illegible] № 4683.

პაპიროსის ქაღალდის ფაბრიკა „კავკაზი“
ა. ლ. იმნაძისა
(ქ. ბათუმი, ტფილისის ქუჩა, № 76).
მზადდება საუკეთესო გიგიენური პაპიროსის ქაღალდის წიგნაკების
ძლიერ ზომიერ ფასებში
დაკვეთა სრულდება სწრაფად ⁊ რიგიანად.
ადრესი: Батумъ, Тифлисская N 76.
4.1043.4

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
წელიწადი მერვე.
ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.
წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●●
—●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.
ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერაკითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ აბულეძიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გოშელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.
რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე-**
(წ.—1627—30 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა 12.